

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 03/38

11 / მარტი / 2013 წ.

ქ. თბილისი

ვ. გელოვანის კერძო საკუთრებაში არსებული ფერწერული და გრაფიკული სურათებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 55-ე, 56-ე მუხლებისა და „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსი მოქალაქე ვიქტორ გელოვანის კერძო საკუთრებაში არსებულ ფერწერულ და გრაფიკულ სურათებს ამ ბრძანების დანართის მიხედვით.

2. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში, დანართში მითითებულ ნიმუშთათვის კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ მონაცემების ძეგლების სახელმწიფო რეესტრსა და სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე ასახვა.

3. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს, წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა დანართში მითითებული ძეგლებისათვის კატეგორიის მინიჭების თაობაზე.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.



ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას ქ. №7).

**მინისტრი**



**მირიანე ოდიშარია**



დანართი

№	ფოტო	მომრავი ობიექტის/მეგლ ის სახეობა,  სააღრიცხვო ბარათის №	ავტორი/ სკოლა	დასახელება	შექმნის დრო და ადგილი	მასა-ლა, ზომა
1.		სახვითი ხელოვნების  სხ-2825	დ. კაკაბაძე	იმერეთის პეიზაჟი	XX ს-ის I ნახ., საქართველო	ტ., ზ., 29,5X40 სმ

2.		სახვითი ხელოვნების  სხ-2826	გ. გაბაშვილი	აღმოსავლურ ი მოტივი	1899 წ., შუა აზია	ტ., ზ., 49X61,5 სმ
3.		სახვითი ხელოვნების  სხ-2827	გ. გაბაშვილი	აღმოსავლურ ი მოტივი	1895 წ., თბილისი	ტ., ზ., 22X37,5 სმ

4.		<p>სახვითი ხელოვნების</p> <p>სხ-2828</p>	<p>ე. ახვლედიანი</p>	<p>თელავის კუთხე</p>	<p>XX ს-ის I ნახ., თელავი</p>	<p>ქ., ფ., 24X42,5 სმ</p>
5.		<p>სახვითი ხელოვნების</p> <p>სხ-2829</p>	<p>პ. ოცხელი</p>	<p>კოსტიუმის ესკიზი სპექტაკლისა თვის „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“</p>	<p>1934 წ., თბილისი</p>	<p>ქ., ფ., აკვარელი, 26,3X16 სმ</p>


6.		<p>სახვითი ხელოვნების</p> <p>სხ-2830</p>	პ. ოცხელი	დეკორაციის ესკიზი	XX ს-ის I ნახ., საქართველო	ქ., აკვარელი, 30X43 სმ
7.		<p>სახვითი ხელოვნების</p> <p>სხ-2831</p>	პ. ოცხელი	დეკორაციის ესკიზი	XX ს-ის I ნახ., საქართველო	ქ., აკვარელი, 30X40 სმ

8.		<p>სახვითი ხელოვნების</p> <p>სხ-2832</p>	პ. ოცხელი	დეკორაციის ესკიზი	XX ს-ის I ნახ., საქართველო	ქ., აკვარელი, 30X41 სმ
9.		<p>სახვითი ხელოვნების</p> <p>სხ-2833</p>	კ. ზდანევიჩი	აბრის ესკიზი	1920-იანი წლების დასაწყისი, თბილისი	ქ., ტუში, აკვარელი, 34X23,5 სმ

10.			სახვითი ხელოვნების  სხ-2834	ი. გამრეკელი	სამი ფიგურა	1920-იანი წლების დასაწყისი, თბილისი	ქ. გუაში 27,2X21,6 სმ
11.			სახვითი ხელოვნების  სხ-2835	ი. გამრეკელი	კუბისტური პორტრეტი	1924 წ., საქართველო	ქ. გუაში 27,3X20,5 სმ



12.		<p>სახვითი ხელოვნების</p> <p>სხ-2836</p>	ი. გამრეკელი	მამაკაცის პორტრეტი	1920–იანი წწ., თბილისი	ქ., ფ., ტუში 21,2X15,6 სმ
13.		<p>სახვითი ხელოვნების</p> <p>სხ-2837</p>	ი. გამრეკელი	დეკორაციის ესკიზი	XX ს–ის I ნახ., საქართველო	ქ., ტუში, გუაში, 28X34 სმ

14.		<p>სახვითი ხელოვნების</p> <p>სხ-2838</p>	<p>ი. გამრეკელი</p>	<p>დეკორაციის ესკიზი</p>	<p>XX ს-ის დასაწყისი, საქართველო</p>	<p>ქ., გუაში, აკვარელი, 37X32,5 სმ</p>
-----	---	--	---------------------	------------------------------	--	--